აქტიური ნივთიერებები: საკვებდანამატის 1 მლ შეიცავს მცენარეული ღეროვანი უჯრედების კონცენტრატს (Triticum durum, Avena sativa, Hordeum vulgare, Zea mays) – 25,6 მგ.

საკვებდანამატი არ შეიცავს გენმოდიფიცირებულ კომპონენტებს, ქიმიურ დანამატებს, არა პათოგენური და არატოქსიკურია.

გარეგნული აღწერილობა: ღია მოყვითალო ფერის გამჭვირვალე ხსნარი დამახასიათებელი სპეციფიური სუნით.

გამოშვების ფორმა: დაფასოებულია 50მლ, 100მლ, 250მლ, 500მლ და 1000მლ პოლიეთილენის ფლაკონებში, რომელთაც ახურავს პირველი გახსნის კონტროლით აღჭურვილი თავსახურავი, 5000 მლ პოლიეთილენის ბიდონებში.

თვისებები

რუმიფოსის შემადგენლობაში შემავალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები ხელს უწყობს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის და საჭმლის მომნელებელი პროცესების ოპტიმიზებას. კერძოდ, საკვებდანამატის შემადგენლობაში შემავალი მცენარეული ღეროვანი უჯრედების კონცენტრატს ახასიათებს ანტიოქსიდანტური მოქმედება, გავლენას ახდენს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნორმალური ბიოცენოზის ფორმირებაზე, ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის დარღვევების პროფილაქტიკას, აძლიერებს ზოგად რეზისტენტობას, უზრუნველყოფს საკვების ათვისების მაღალ დონეს, ხელს უწყობს ცხოველთა სულადობის შენარჩუნებას, პროდუქტიულობის მატებას, სრულფასოვან ზრდა-განვითარებას, ასევე ახასიათებს დამამშვიდებელი მოქმედება და სტრესებისადმი მედეგობა.

გამოყენების ჩვენებები

საკვები დანამატი "რუმიფოსი" გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, ფრინველების, რეზისტენტობის, პროდუქტიულობის ასამაღლებლად, სულადობის შესანარჩუნებლად, ზრდა-განვითარების გასაუმჯობესებლად. გამოიყენება სიცოცხლის სასტარტო პერიოდში; ვაქცინაციამდე და მის შემდეგ; გადატანილი დაავადებებისა და ანტიბიოტიკოთერაპიის შემდეგ; ზრდა-განვითარებაში ჩამორჩენილობისა და პროდუქტიულობის დაქვეითებისას; განაყოფიერებამდე და მის შემდეგ; მაკეობის დროს და მშობიარობის შემდეგ; სხვადასხვა ეტიოლოგიის სტრესების დროს; კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებისას; მეკვერცხულ ქათმებში კვერცხდების დასაწყისში და განგურის შემდეგ.

საკვები დანამატი “რუმიფოსი“ გამოიყენება სასმელ წყალთან (ინდივიდუალური ან ჯგუფური წესით) ან საკვებთან ერთად, 1 მლ/25კგ ცოცხალ წონაზე, დღეში ერთჯერ;

გამოყენების ხანგრძლივობა - 6-დან 28 დღემდე, განმეორებითი გამოყენება ცხოველის მდგომარეობის მიხედვით.

დოზირება:

1 მლ 25 კგ ცოცხალ წონაზე

გვერდითი მოვლენები

ინსტრუქციის შესაბამისად საკვებდანამატის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება.

უკუჩვენებები: დადგენილი არ არის.

ურთიერთქმედება სხვა პრეპარატებთან

რუმიფოსი თავსებადია საკვებში შემავალ ყველა ინგრედიენტებთან, სამკურნალო პრეპარატებთან და სხვა საკვებდანამატებთან.

ლოდინის პერიოდი

ცხოველებისა და ფრინველისგან წარმოებული პროდუქცია სასურსათო მიზნებისათვის გამოიყენება შეზღუდვების გარეშე

პირადი პროფილაქტიკა

რუმიფოსთან მუშაობისას უნდა დაიცვათ პირადი ჰიგიენისა და უსაფრთხოების ზოგადი წესები, რაც გათვალისწინებულია საკვებდანამატებთან მუშაობის დროს.

შენახვის პირობები: ინახება მშრალ, მზისაგან დაცულ ადგილას, 5°C-დან 25°C ტემპერატურაზე.

შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას.

აკრძალულია გამოყენება შენახვის ვადის ამოწურვის შემდეგ

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი დამზადების დღიდან.

მწარმოებელი: შპს “ბიოტეკსი“, საქართველო, თბილისი, იუმაშევის ქ.#8